ბრძანება

15 ივნისი 2018 წ. თბილისი № 70/01

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 30 მაისის №63/01 ბრძანებაში „2017/2018 სასწავლო წლის ზაფხულის სასესიო პერიოდის ცხრილის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, თსსუ-ის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 30 მაისის №63/01 ბრძანებაში „2017/2018 სასწავლო წლის ზაფხულის სასესიო პერიოდის ცხრილის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის მიზნით,

ვბრძანებ:

1. ,,2017/2018 სასწავლო წლის ზაფხულის სასესიო პერიოდის ცხრილის დამტკიცების შესახებ'' ბრძანების I პუნქტით დამტკიცებულ მედიცინის ფაკულტეტის გამოცდების ცხრილში - დანართი 1-ში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

ა) II სემესტრის მე-17-18 და 21-ე ჯგუფების სტუდენტებს გამოცდა დისციპლინაში „სამედიცინო ქიმია“ 2018 წლის 2 ივლისის ნაცვლად ჩაუტარდეს 2018 წლის 4 ივლისს, ხოლო 30-31-ე ჯგუფების სტუდენტებს - 2018 წლის 12 ივნისის ნაცვლად 2018 წლის 15 ივნისს.

ბ) საგამოცდო ცენტრში გამოცდა დისციპლინაში „ფარმაკოლოგია“2018 წლის 12 ივნისის ნაცვლად ჩატარდეს 2018 წლის 7 ივლისს.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს(ხ. თოდაძე) მედიცინის ფაკულტეტის დეკანს (თ. ჩიქოვანი) სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს (რ. რუხაძე).

ბრძანება დაეგზავნოს: ვიცე-რექტორს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანატს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი